საქართველოს მთავრობის

დადგენილება №508

2011 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 ივლისის დადგენილება №297 - ვებგვერდი, 27.07.2012წ.

მუხლი 1. „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადები, მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობები და საფასურის გადახდის წესი.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 ივლისის დადგენილება №297 - ვებგვერდი, 27.07.2012წ.

მუხლი 2. ეს დადგენილება, გარდა დანართის მე2 მუხლის მე11, 39ე, მე40 და 41ე პუნქტებისა, მე8 მუხლის პირველი და მე17 პუნქტებისა, ამოქმედდეს 2012 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 3. ამ დადგენილების დანართის მე2 მუხლის მე11 და 39ე პუნქტები, მე8 მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2012 წლის 1 თებერვლიდან.

მუხლი 4. ამ დადგენილების დანართის მე2 მუხლის მე40 და 41ე პუნქტები, მე8 მუხლის მე17 პუნქტი ამოქმედდეს 2012 წლის 1 მარტიდან.

მუხლი 5. ამ დადგენილების დანართის მე2 მუხლის 44ე პუნქტი ამოქმედდეს 2012 წლის 15 ივლისიდან.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 ივნისის დადგენილება №208 - ვებგვერდი, 14.06.2012წ.

პრემიერმინისტრი ნ. გილაური

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადები, მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობები და საფასურის გადახდის წესი

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 ივლისის დადგენილება №297 - ვებგვერდი, 27.07.2012წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს დანართი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადებსა და საფასურების ოდენობებს, საფასურის გადახდის, გადახდილი საფასურის დაბრუნების და საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წესსა და პირობებს.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 ივლისის დადგენილება №297 - ვებგვერდი, 27.07.2012წ.

მუხლი 2. მომსახურების ვადები და საფასურების განაკვეთები

1. (ამოღებულია - 07.08.2014, №476).

2. საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ბიომეტრიული სამგზავრო პასპორტის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 150 ლარი;

ბ) მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 150 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 30 ლარი;

გ) მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 150 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 75 ლარი;

დ) მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 150 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 150 ლარი;

ე) იმავე დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 150 ლარი და დაჩქარებული მომსახურების

საფასური – 200 ლარი.

2^1. საქართველოს მოქალაქის 1 წლის ვადით მოქმედი 32-გვერდიანი პასპორტის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 65 ლარი;

ბ) მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 30 ლარი;

გ) მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 ლარი;

დ) მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 120 ლარი;

ე) იმავე დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 140 ლარი.

2^2. საქართველოს მოქალაქის 1 წლის ვადით მოქმედი ბიომეტრიული პასპორტის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 130 ლარი;

ბ) მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 130 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 30 ლარი;

გ) მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 130 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 ლარი;

დ) მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 130 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 120 ლარი;

ე) იმავე დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 130 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 140 ლარი.

2^3. ერთ-ერთი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის საკითხის განხილვისა და განცხადების შეტანიდან ერთი თვის ვადაში შესაბამისი გადაწყვეტილების მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 50 ლარი;

3. საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეზე წარმომადგენლის მეშვეობით 32-გვერდიანი პასპორტის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 140 ლარი;

ბ) მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 140 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 ლარი.

3^1. საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეზე წარმომადგენლის მეშვეობით საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 230 ლარი;

ბ) მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 230 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 70 ლარი.

4. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის განაცხადის შეტანიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გაცემისათვის – მომსახურების საფასურის განაკვეთი – 45 ლარი.

5. საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხოელისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ელექტრონული მოწმობების განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 60 ლარი;

ბ) მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 60 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 20 ლარი;

გ) მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 60 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 40 ლარი;

დ) მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 60 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 60 ლარი;

ე) იმავე დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 60 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 90 ლარი.6. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხოელისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის მოწმობების განაცხადის შეტანიდან მე-10 სამუშაო დღეს გაცემისთვის – მომსახურების საფასური – 60 ლარი.

6^1. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხოელისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის მოწმობების განაცხადის შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გაცემისთვის მომსახურების საფასური – 25 ლარი, რაც დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

ა) პირადობის (ბინადრობის) მოწმობის გაცემის თაობაზე ნების გამოხატვა შეუძლებელია იმ პირის მძიმე ავადმყოფობის გამო, რომელზეც უნდა გაიცეს პირადობის (ბინადრობის) მოწმობა და აღნიშნულ პირს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი;

ბ) სააგენტოსგან დამოუკიდებელი მიზეზით (მეტეოროლოგიური პირობები, ფორსმაჟორული გარემოებები და სხვ.) შეუძლებელია დამზადებული პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის

მიწოდება/გადაცემა მისი გამცემი ტერიტორიული სამსახურისათვის ან/და დაინტერესებული პირისათვის;

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეუძლებელია იმ პირის გადაადგილება (ტერიტორიულ სამსახურში გამოცხადება), რომელზეც უნდა გაიცეს პირადობის (ბინადრობის) მოწმობა და აღნიშნულ პირს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე, მზრუნველი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, ასევე მშობელი/მშვილებელი);

დ) პირი, რომელზეც უნდა გაიცეს პირადობის (ბინადრობის) მოწმობა, ფსიქიატრიული დახმარების მიღების მიზნით იმყოფება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და აღნიშნულ პირს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე, მზრუნველი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, ასევე მშობელი/მშვილებელი).

7. პირადობის ნეიტრალური მოწმობის განაცხადის შეტანიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გაცემისათვის – მომსახურების საფასური 10 ლარი.

7[1]. ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაბადების რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემისთვის მომსახურების საფასური – 390 ლარი.

8. ქორწინების:

ა) სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში სპეციალური სარიტუალო მომსახურების გარეშე რეგისტრაციისათვის, რეგისტრაციის მოწმობის გაცემის ჩათვლით – მომსახურების საფასური არ გადაიხ დევინება;

ბ) სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში სპეციალური სარიტუ ალო მომსახურებით რეგისტრაციისათვის, რეგისტრაციის მოწმობის გაცემის ჩათვლით, – მომსახურების საფასური 50 ლარი;

გ) ქორწინების სახლში სპეციალური სარიტუალო მომსახურებით რეგისტრაციისათვის, რეგისტრაციის მოწმობის გაცემის ჩათვლით – მომსახურების საფასური:

გ.ა) შაბათს და კვირას – 150 ლარი;

გ.ბ) ნებისმიერ დღეს, გარდა შაბათისა და კვირისა, – 90 ლარი;

დ) სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის შენობის გარეთ რეგისტრაციისათვის, რეგისტრაციის მოწმობის გაცემის ჩათვლით, – მომსახურების საფასური 170 ლარი.

9. კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განქორწინების რეგისტრაციისა და მოწმობების გაცემისათვის – მომსახურების საფასური 60 ლარი.

10. სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაციის (მათ შორის, გვარის კანონიერად აღიარების), ასეთი შეცვლიდან/კანონიერად აღიარებიდან გამომდინარე, შესაბამის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, მათ შორის, მშობლის (მშობლების) მიერ სახელის, გვარის შეცვლის (გვარის კანონიერად აღიარების) შემთხვევაში არასრულწლოვანი შვილის (შვილების) სახელზე შედგენილ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, სავალდებულო ცვლილების შეტანის ჩათვლით (გარდა ქორწინების, განქორწინების, მამობის დადგენის, შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებული შემთხვევებისა) და სახელის შეცვლის და/ან გვარის შეცვლის/დადგენის მოწმობის, ასევე ასეთი შეცვლიდან/კანონიერად აღიარებიდან გამომდინარე სხვა სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განაცხადის შეტანიდან მე-60 კალენდარულ დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 75 ლარი.

10[1]. დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში სახელის ცვლილების კანონიერად აღიარების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-10 სამუშაო დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 40 ლარი;

ბ) 5 სამუშაო დღის ვადაში მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 40 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 25 ლარი.

11. ისტორიული გვარის აღდგენის, ასეთი აღდგენიდან გამომდინარე, გვარის შეცვლის რეგისტრაციის, შესაბამის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, მათ შორის, მშობლის (მშობლების) მიერ გვარის შეცვლის შემთხვევაში არასრულწლოვანი შვილის (შვილების) სახელზე შედგენილ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, სავალდებულო ცვლილების შეტანის ჩათვლით (გარდა ქორწინების, განქორწინების, მამობის დადგენის, შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებული შემთხვევებისა) და გვარის შეცვლის მოწმობის, ასევე ასეთი აღდგენიდან გამომდინარე სხვა სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განაცხადის შეტანიდან მე-60 კალენდარულ დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 390 ლარი.

11[1]. (ამოღებულია - 28.01.2019, №13).

12. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორებისა და დამატების (გარდა მამობის დადგენისა და შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებული შემთხვევებისა), მათ შორის, მშობლ(ებ)ის სახელზე შედგენილი სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მონაცემის ცვლილების, შესწორებისა და დამატების შეტანის შემთხვევებში არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის სახელზე შედგენილი სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, მშობლ(ებ)ის მონაცემის სავალდებულო ცვლილების, შესწორებისა და დამატების შეტანისა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განმეორებით გაცემის ჩათვლით, განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-15 კალენდარულ დღეს შეტანისათვის – მომსახურების საფასური – 20 ლარი;

ბ) 5 კალენდარული დღის ვადაში შეტანისათვის – მომსახურების საფასური – 20 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 ლარი.

13. სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განმეორებით გაცემის ან სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის

შესახებ ცნობის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 5 ლარი;

ბ) მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 5 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 10 ლარი;

გ) მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 5 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 25 ლარი;

დ) იმავე დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 5 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 45 ლარი.

13^1. უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განმეორებით ან სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შესახებ ცნობის განაცხადის სააგენტოს უფლებამოსილ ტერიტორიულ სამსახურში წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 25 ლარი.

13^2. სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებული სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაციისთვის, რეგისტრაციის მოწმობის გაცემის ჩათვლით – მომსახურების საფასური – 50 ლარი.

14. (ამოღებულია – 31.01.2012, №31).

15. საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით, გამარტივებული წესით ან სპეციალური წესით მინიჭების საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-80 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 65 ლარი;

ბ) მე-60 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 ლარი;

გ) მე-40 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 195 ლარი;

დ) 20 კალენდარული დღის ვადაში მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 325 ლარი.

16. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის განაცხადის შეტანიდან:

ა) 30-ე კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 130 ლარი;

ბ) მე-20 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 130 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 130 ლარი;

გ) მე-10 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 130 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 260 ლარი.

17. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-80 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება;

ბ) მე-60 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 130 ლარი;

გ) 30-ე კალენდარულ დღეს მომზადებისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური – 195 ლარი;

დ) 10 კალენდარული დღის ვადაში მომზადებისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 260 ლარი.

18. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის განაცხადის შეტანიდან:

ა) 30ე კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 130 ლარი;

ბ) მე-20 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური 130 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 ლარი.

19. საქართველოს სახელმწიფოსთან პირის სამართლებრივი კავშირის დადგენის შესახებ დასკვნის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-15 კალენდარულ დღეს გაცემისათვის – საფასური არ გადაიხდევინება;

ბ) მე-5 კალენდარულ დღეს გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 40 ლარი;

გ) მე-3 კალენდარულ დღეს გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 ლარი;

დ) იმავე დღეს გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 100 ლარი.

19^1. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიაზე მცხოვრები პირების საქართველოს სახელმწიფოსთან პირის სამართლებრივი კავშირის დადგენის შესახებ დასკვნის განაცხადის შეტანიდან:

ა) 30-ე კალენდარულ დღეს გაცემისათვის – საფასური არ გადაიხდევინება;

ბ) მე-20 კალენდარულ დღეს გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 40 ლარი;

გ) მე-15 კალენდარულ დღეს გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 ლარი;

დ) მე-10 კალენდარულ დღეს გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 100 ლარი.

20. საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-80 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 500 ლარი;

ბ) მე-60 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 500 ლარი და დაჩქარებული

მომსახურების საფასური – 200 ლარი;

გ) 30 კალენდარული დღის ვადაში მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 500 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 500 ლარი.

20^1. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნის დროებითი უფლების საფუძველზე საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-80 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 325 ლარი;

ბ) მე-60 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 325 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 130 ლარი;

გ) 30 კალენდარული დღის ვადაში მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 325 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 325 ლარი.

20^2. საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-80 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 500 ლარი;

ბ) მე-60 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 500 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 200 ლარი;

გ) 30 კალენდარული დღის ვადაში მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 500 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 500 ლარი.

21. (ამოღებულია - 21.04.2022, №217).

22. ემიგრაციის ნებართვის განაცხადის შეტანიდან:

ა) 30-ე კალენდარულ დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 80 ლარი;

ბ) 20 კალენდარული დღის ვადაში გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 80 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 130 ლარი.

23. შრომითი, სასწავლო, საინვესტიციო, ოჯახის გაერთიანების მიზნით, საქართველოს ყოფილი მოქალაქისა და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვების მიღების მიზნით, განცხადების შეტანიდან:

ა) 30-ე კალენდარულ დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 300 ლარი;

ბ) მე-20 კალენდარულ დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 300 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 150 ლარი;

გ) 10 კალენდარული დღის ვადაში გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 300 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 300 ლარი.

23^1. სპეციალური ბინადრობის ნებართვის მიღების მიზნით, განცხადების წარდგენიდან 10 დღის ვადაში გაცემისთვის მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება.

23^2. მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვისა და დროებითი ბინადრობის ნებართვის გაცემისთვის მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება.

24. მუდმივი ცხოვრებისა და უვადო ბინადრობის ნებართვების მიღების მიზნით, განცხადების შეტანიდან:

ა) 30-ე კალენდარულ დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 350 ლარი;

ბ) 20 კალენდარული დღის ვადაში გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 350 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 150 ლარი.

25. (ამოღებულია - 03.09.2014, №530).

26. (ამოღებულია - 03.09.2014, №530).

27. უცხოელისათვის საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადებისათვის:

ა) მომსახურების საფასური 65 ლარია;

ბ) მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება:

ბ.ა) ავადმყოფობის ან ფეხმძიმობის შემთხვევაში, როდესაც ექიმის დასკვნით, უცხოელის შემდგომი მგზავრობა საფრთხეს შეუქმნის მის ჯანმრთელობას;

ბ.ბ) თუ საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტით გავლისას, უცხოელი იძულებული ხდება გაჩერდეს საქართველოს ტერიტორიაზე 5 დღეზე მეტი ხნით;

ბ.გ) თუ საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების ინიციატორი საქართველოს სამინისტრო ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა;

ბ.დ) საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების ან საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით განცხადების სააგენტოში წარდგენის საფუძვლით საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადებისათვის.

28. დოკუმენტის აპოსტილით განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-8 სამუშაო დღეს დამოწმებისათვის – მომსახურების საფასური – 30 ლარი;

ბ) მე-4 სამუშაო დღეს დამოწმებისათვის – მომსახურების საფასური – 30 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 30 ლარი;

გ) მე-2 სამუშაო დღეს დამოწმებისათვის – მომსახურების საფასური – 30 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 90 ლარი;

დ) იმავე დღეს დამოწმებისათვის – მომსახურების საფასური – 30 ლარი და დაჩქარებული მომსახურების

საფასური – 120 ლარი.

29. დოკუმენტის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-8 სამუშაო დღეს ლეგალიზაციისათვის – მომსახურების საფასური – 25 ლარი;

ბ) მე-4 სამუშაო დღეს ლეგალიზაციისათვის – მომსახურების საფასური – 25 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 30 ლარი;

გ) მე-2 სამუშაო დღეს ლეგალიზაციისათვის – მომსახურების საფასური – 25 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 70 ლარი;

დ) იმავე დღეს ლეგალიზაციისათვის – მომსახურების საფასური – 25 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 105 ლარი.

30. ლეგალიზაციისათვის ან აპოსტილით დასამოწმებლად წარდგენილი დოკუმენტის ერთი გვერდის (ან ერთ გვერდამდე) უცხოურ ენაზე თარგმნისათვის – მომსახურების საფასური – 25 ლარი.

31. სააგენტოს უფლებამოსილებისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე უცხო ქვეყნიდან დოკუმენტის (ინფორმაციის) გამოთხოვისათვის – მომსახურების საფასური – 25 ლარი.

32. საინფორმაციო ბარათის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება;

ბ) მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 5 ლარი;

გ) მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 10 ლარი;

დ) იმავე დღეს გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 15 ლარი.

33. მისამართზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობის შესახებ ცნობის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება;

ბ) მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 5 ლარი;

გ) მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 10 ლარი;

დ) იმავე დღეს გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 15 ლარი.

34. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 40 ლარი;

ბ) მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 40 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 25 ლარი;

გ) იმავე დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 40 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 55 ლარი.

35. სააგენტოსა და მის ტერიტორიულ სამსახურში ფოტოსურათის გადაღებისათვის – მომსახურების საფასური – 5 ლარი.

36. (ამოღებულია – 26.07.2012, №297).

37. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში (გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) და დადგენილი წესით ადგილზე მომსახურება – მომსახურების საფასური – 130 ლარი. ამ პუნქტით გათვალისწინებული საფასური არ მოიცავს შესაბამისი მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურს.

38. 2 სამუშაო დღის ვადაში პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობებზე განმეორებით კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის აქტიური სერტიფიკატის გაცემა ან გაცემული სერტიფიკატის აქტივაცია – მომსახურების საფასური 10 ლარი.

38^1. 20 სამუშაო დღის ვადაში 2 წლისა და 6 თვის მოქმედების ვადის მქონე კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის მიერ წარდგენილ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე – მომსახურების საფასური – 260 ლარი.

38^2. 30 სამუშაო დღის ვადაში 2 წლისა და 6 თვის მოქმედების ვადის მქონე კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე – მომსახურების საფასური – 715 ლარი.

38^3. 20 სამუშაო დღის ვადაში 2 წლისა და 6 თვის მოქმედების ვადის მქონე კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე – მომსახურების საფასური – 325 ლარი.

38^4. 20 სამუშაო დღის ვადაში 2 წლისა და 6 თვის მოქმედების ვადის მქონე ორი ერთეული კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე – მომსახურების საფასური – 20150 ლარი.

39. განქორწინების შესახებ სასამართლოს მიერ წარდგენილი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციის შემდეგ განქორწინების მოწმობების გაცემისათვის (გარდა განქორწინების რეგისტრაციის შესახებ მოწმობის განმეორებით გაცემისა) მომსახურების საფასური გადაიხდევინება ამ მუხლის მე9 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

40. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მომზადებისათვის განცხადების შეტანიდან:

ა) მე-80 კალენდარულ დღეს – მომსახურების საფასური – 65 ლარი;

ბ) 70 კალენდარული დღის ვადაში – მომსახურების საფასური – 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების

საფასური – 65 ლარი.

41. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის გაცემისათვის განცხადების შეტანიდან:

ა) მე-10 სამუშაო დღეს – მომსახურების საფასური – 65 ლარი;

ბ) მე-5 სამუშაო დღეს – მომსახურების საფასური – 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 15 ლარი;

გ) მე-3 სამუშაო დღეს – მომსახურების საფასური – 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 30 ლარი;

დ) მე-2 სამუშაო დღეს – მომსახურების საფასური – 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 40 ლარი;

ე) იმავე დღეს – მომსახურების საფასური – 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 ლარი.

42. ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის კალენდარული წლის 20 ივნისამდე გაცემისათვის მომსახურების საფასური გადაიხდება შემდეგი წესითა და განაკვეთებით:

ა) განცხადების წარდგენის დღიდან მე-10 სამუშაო დღეს დოკუმენტის გაცემისათვის – მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება;

ბ) განცხადების წარდგენის დღიდან მე-5 სამუშაო დღეს დოკუმენტის გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 45 ლარი;

გ) განცხადების წარდგენის დღიდან მე-3 სამუშაო დღეს დოკუმენტის გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 ლარი;

დ) განცხადების წარდგენის დღიდან მე-2 სამუშაო დღეს დოკუმენტის გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 85 ლარი;

ე) განცხადების წარდგენის დღეს დოკუმენტის გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 95 ლარი.

43. ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის კალენდარული წლის 20 ივნისის შემდეგ გაცემისათვის მომსახურების საფასური გადაიხდება შემდეგი წესითა და განაკვეთებით:

ა) განცხადების წარდგენის დღიდან მე-10 სამუშაო დღეს დოკუმენტის გაცემისათვის – მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება;

ბ) განცხადების წარდგენის დღიდან მე-5 სამუშაო დღეს დოკუმენტის გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 25 ლარი;

გ) განცხადების წარდგენის დღიდან მე-3 სამუშაო დღეს დოკუმენტის გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 40 ლარი;

დ) განცხადების წარდგენის დღიდან მე-2 სამუშაო დღეს დოკუმენტის გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 55 ლარი;

ე) განცხადების წარდგენის დღეს დოკუმენტის გაცემისათვის – დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 ლარი.

44. ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის დუბლიკატის:

ა) განცხადების წარდგენის დღიდან ერთი თვის ვადაში გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 40 ლარი;

ბ) განცხადების წარდგენის დღიდან მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 75 ლარი;

გ) განცხადების წარდგენის დღიდან მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 95 ლარი;

დ) განცხადების წარდგენის დღიდან მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 120 ლარი;

ე) განცხადების წარდგენის დღიდან ორი სამუშაო დღის ვადაში გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 130 ლარი.

45. (ამოღებულია - 21.04.2022, №217).

46. 30 სამუშაო დღის ვადაში (განცხადების განხილვის ვადა) სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატების ავტომატური შემოწმების მომსახურების გარანტირებული წარმადობით მიწოდება – საფასური შეადგენს მომსახურების პერიოდში თითოეული დღის შერჩეულ თითოეულ მონაკვეთში არსებული წამების რაოდენობის იმავე მონაკვეთებში შერჩეულ გარანტირებული წარმადობისა და 0,0000806-ის ნამრავლის მნიშვნელობას ლარში, სადაც:

ა) ერთ წამში მინიმალური გარანტირებული წარმადობაა 1 მოთხოვნა;

ბ) კალენდარული დღის განმავლობაში სხვადასხვა გარანტირებული წარმადობა შესაძლებელია შეირჩეს დღის არაუმეტეს 3 მონაკვეთში, რომელთა ჯამიც უნდა შეადგენდეს 24 საათს;

გ) მომსახურების პერიოდში, მომხმარებლის მიერ კალენდარული კვირის განმავლობაში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით შერჩეული თითოეული დღის გარანტირებული წარმადობის კონფიგურაცია უნდა იყოს იდენტური, ხოლო შაბათსა და კვირას შესაძლებელია განსხვავებული კონფიგურაციით დღეების წარმადობების შერჩევა;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შერჩეული კალენდარული კვირის გარანტირებული წარმადობის კონფიგურაცია უცვლელი უნდა რჩებოდეს მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში.

47. 30 სამუშაო დღის ვადაში (განცხადების განხილვის ვადა) დროის კვალიფიციური აღნიშვნის

მომსახურების გარანტირებული წარმადობით მიწოდება – საფასური შეადგენს მომსახურების პერიოდში თითოეული დღის შერჩეულ თითოეულ მონაკვეთში არსებული წამების რაოდენობის იმავე მონაკვეთებში შერჩეულ გარანტირებული წარმადობისა და 0,0000806-ის ნამრავლის მნიშვნელობას ლარში, სადაც:

ა) ერთ წამში მინიმალური გარანტირებული წარმადობაა 1 მოთხოვნა;

ბ) კალენდარული დღის განმავლობაში სხვადასხვა გარანტირებული წარმადობა შესაძლებელია შეირჩეს დღის არაუმეტეს 3 მონაკვეთში, რომელთა ჯამიც უნდა შეადგენდეს 24 საათს;

გ) მომსახურების პერიოდში მომხმარებლის მიერ კალენდარული კვირის განმავლობაში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით შერჩეული თითოეული დღის გარანტირებული წარმადობის კონფიგურაცია უნდა იყოს იდენტური, ხოლო შაბათსა და კვირას შესაძლებელია განსხვავებული კონფიგურაციით დღეების წარმადობების შერჩევა;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შერჩეული კალენდარული კვირის გარანტირებული წარმადობის კონფიგურაცია უცვლელი უნდა რჩებოდეს მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში.

48. 30 სამუშაო დღის ვადაში (განცხადების განხილვის ვადა) ელექტრონულ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერის უტყუარობის დადგენის მომსახურების გარანტირებული წარმადობით მიწოდება – საფასური შეადგენს მომსახურების პერიოდში თითოეული დღის შერჩეულ თითოეულ მონაკვეთში არსებული წამების რაოდენობის იმავე მონაკვეთებში შერჩეული გარანტირებული წარმადობისა და 0,0001612-ის ნამრავლის მნიშვნელობას ლარში, სადაც:

ა) ერთ წამში მინიმალური გარანტირებული წარმადობაა 1 მოთხოვნა;

ბ) კალენდარული დღის განმავლობაში სხვადასხვა გარანტირებული წარმადობა შესაძლებელია, შეირჩეს დღის არაუმეტეს 3 მონაკვეთში, რომელთა ჯამიც უნდა შეადგენდეს 24 საათს;

გ) მომსახურების პერიოდში მომხმარებლის მიერ კალენდარული კვირის განმავლობაში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით შერჩეული თითოეული დღის გარანტირებული წარმადობის კონფიგურაცია უნდა იყოს იდენტური, ხოლო შაბათსა და კვირას შესაძლებელია განსხვავებული კონფიგურაციით დღეების წარმადობების შერჩევა;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შერჩეული კალენდარული კვირის გარანტირებული წარმადობის კონფიგურაცია უცვლელი უნდა რჩებოდეს მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში.

49. 30 სამუშაო დღის ვადაში 2 წლისა და 6 თვის მოქმედების ვადის მქონე ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის სერტიფიკატის გაცემა, ელექტრონული ხელმოწერის დეშიფრაციის ინსტრუმენტის სააგენტოსთვის მიწოდების პირობით (გარდა სააგენტოს მიერ გაცემული ელექტრონული ხელმოწერის შიფრაციის სერტიფიკატით დაშიფრული ბიომეტრიული მონაცემების დეშიფრაციის მიზნით გაცემისა) – მომსახურების საფასური – 1950 ლარი.

50. 30 სამუშაო დღის ვადაში სააგენტოს მიერ გაცემული ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის დახურული გასაღებისა და შესაბამისი სერტიფიკატის (მიუხედავად დახურული გასაღებებისა და სერტიფიკატების რაოდენობისა) შენახვისა და ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დეშიფრაციის მომსახურების 1 კალენდარული წლის განმავლობაში მიწოდება შეადგენს 13000 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის დადგენილება №31 - ვებგვერდი, 03.02.2012 წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის დადგენილება №166 - ვებგვერდი, 10.05.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 ივნისის დადგენილება №208 - ვებგვერდი, 14.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის დადგენილება №229 - ვებგვერდი, 28.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 ივლისის დადგენილება №297 - ვებგვერდი, 27.07.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 22 აგვისტოს დადგენილება №341 - ვებგვერდი, 22.08.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის დადგენილება №73 – ვებგვერდი, 01.0 4.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს დადგენილება №476 - ვებგვერდი, 07.08.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 სექტემბრის დადგენილება №530 - ვებგვერდი, 03.09.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №575 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №399 - ვებგვერდი, 18.08.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის დადგენილება №344 - ვებგვერდი, 28.06.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის დადგენილება №13 – ვებგვერდი, 29.01.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 ივლისის დადგენილება №351 – ვებგვერდი, 02.08.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №673 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 მაისის დადგენილება №309 – ვებგვერდი, 15.05.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მაისის დადგენილება №210 – ვებგვერდი, 11.05.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 აპრილის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 26.04.2022წ.

მუხლი 3. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დამყარებული პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის გზით მიღებული განაცხადის საფუძველზე გაწეული მომსახურების ვადები და საფასურები

1. იმ მომსახურებისათვის, რომელთან დაკავშირებითაც განაცხადი მიიღება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დამყარებული პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის გზით, დადგენილია შემდეგი ვადები და საფასურები:

ა) საქართველოს მოქალაქის 32-გვერდიანი პასპორტის, საზღვარგარეთ მყოფ პირზე საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ბიომეტრიული სამგზავრო პასპორტის განაცხადის წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 300 ლარი;

ბ) სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაციის (მათ შორის, გვარის კანონიერად აღიარების, ისტორიული

გვარის აღდგენის, გვარის დადგენის), ასეთი შეცვლიდან/კანონიერად აღიარებიდან/აღდგენიდან/დადგენიდან გამომდინარე, შესაბამის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, მათ შორის, მშობლის (მშობლების) მიერ სახელის, გვარის შეცვლის (გვარის კანონიერად აღიარების/აღდგენის/დადგენის) შემთხვევაში არასრულწლოვანი შვილის (შვილების) სახელზე შედგენილ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, სავალდებულო ცვლილების შეტანის ჩათვლით (გარდა ქორწინების, განქორწინების, მამობის დადგენის, შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებული შემთხვევებისა) და სახელისა და გვარის შეცვლის მოწმობის, ასევე ასეთი შეცვლიდან/კანონიერად აღიარებიდან/აღდგენიდან/დადგენიდან გამომდინარე სხვა სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განაცხადის წარდგენიდან მე-60 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 455 ლარი;

ბ[1]) დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში სახელის ცვლილების კანონიერად აღიარების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების განაცხადის წარდგენიდან მე-10 სამუშაო დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 65 ლარი;

გ) სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორებისა და დამატების (გარდა მამობის დადგენისა და შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებული შემთხვევებისა) შეტანის, მათ შორის, მშობლ(ებ)ის სახელზე შედგენილი სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მონაცემის ცვლილების, შესწორებისა და დამატების შეტანის შემთხვევებში არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის სახელზე შედგენილი სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, მშობლ(ებ)ის მონაცემის სავალდებულო ცვლილების, შესწორებისა და დამატების შეტანისა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განმეორებით გაცემის ჩათვლით, განაცხადის წარდგენიდან მე-15 კალენდარულ დღეს შეტანისათვის – მომსახურების საფასური – 130 ლარი;

დ) სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განმეორებით გაცემის ან სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შესახებ ცნობის განაცხადის წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 65 ლარი;

ე) მატერიალური დოკუმენტის წარდგენიდან ან დამზადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ლეგალიზაციისათვის ან აპოსტილით დამოწმებისათვის – 55 ლარი;

ე[1]) ელექტრონული დოკუმენტის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული აპოსტილით დამოწმებისათვის – 55 ლარი;

ვ) ლეგალიზაციისათვის ან აპოსტილით დასამოწმებლად წარდგენილი დოკუმენტის ერთი გვერდის (ან ერთ გვერდამდე) უცხოურ ენაზე თარგმნისათვის – მომსახურების საფასური – 25 ლარი;

ზ) სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს მიერ საინფორმაციო ბარათის განაცხადის წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 20 ლარი;

თ) მისამართზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობის შესახებ ცნობის განაცხადის წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 20 ლარი;

ი) ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობის განაცხადის წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 120 ლარი;

კ) პირის მიერ სააგენტოს უფლებამოსილებისათვის მიკუთვნებული მოქმედების განხორციელებისათვის საჭირო თანხმობის გამოხატვის ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მესამე პირისათვის მინიჭების დადასტურებისათვის – მომსახურების საფასური – 55 ლარი.

2. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული განაცხადების/განცხადებების საფუძველზე, ამ დანართის მე-2 მუხლის მე4, მე7, მე-15–23-ე, 24-ე, 27ე, მე40 და 41ე პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებების გაწევისათვის საფასურები გადაიხდევინება იმავე პუნქტებით გათვალისწინებული განაკვეთებით.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული მომსახურებების (გარდა ამავე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისა) მისაღებად მიმართვისას, სააგენტოს უფლებამოსილებისათვის მიკუთვნებული მოქმედების განხორციელებისათვის საჭირო თანხმობის გამოხატვისათვის ან მესამე პირისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებისათვის მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის დადგენილება №31 - ვებგვერდი, 0 3. 0 2.201 2 წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის დადგენილება №166 - ვებგვერდი, 10.05.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის დადგენილება №188 - ვებგვერდი, 29.05.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის დადგენილება №229 - ვებგვერდი, 28.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 22 აგვისტოს დადგენილება №341 - ვებგვერდი, 22.08.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის დადგენილება № 73 – ვებგვერდი, 01.0 4.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 სექტემბრის დადგენილება №530 - ვებგვერდი, 03.09.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №399 - ვებგვერდი, 18.08.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის დადგენილება №13 – ვებგვერდი, 29.01.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №603 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 აპრილის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 26.04.2022წ.

მუხლი 3[1]. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენებით შესრულებული განაცხადის საფუძველზე გაწეული მომსახურების ვადები და საფასურები

იმ მომსახურებისათვის, რომელთან დაკავშირებითაც განაცხადი მიიღება ელექტრონული ფორმით, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენებით, დადგენილია შემდეგი ვადები და საფასურები:

ა) საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ბიომეტრიული სამგზავრო პასპორტის გაცემისათვის საფასურების გადახდა ხდება ამ დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განაკვეთებით;

ბ) სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განმეორებით გაცემის ან სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შესახებ ცნობის გაცემისთვის საფასურების გადახდა ხდება ამ დანართის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული განაკვეთებით;

გ) საინფორმაციო ბარათის გაცემისთვის საფასურების გადახდა ხდება ამ დანართის მე-2 მუხლის 32-ე პუნქტით გათვალისწინებული განაკვეთებით;

დ) მისამართზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობის შესახებ ცნობის გაცემისთვის საფასურების გადახდა ხდება ამ დანართის მე-2 მუხლის 33-ე პუნქტით გათვალისწინებული განაკვეთებით;

ე) ელექტრონული დოკუმენტის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული აპოსტილით დამოწმებისათვის, თუ განცხადება წარდგენილია შესაბამის ვებგვერდზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით – 50 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის დადგენილება №188 - ვებგვერდი, 29.05.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის დადგენილება №229 - ვებგვერდი, 28.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის დადგენილება №344 - ვებგვერდი, 28.06.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №603 – ვებგვერდი, 30.09.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 აპრილის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 26.04.2022წ.

მუხლი 4. საზღვარგარეთ გადასახდელი საფასურები და მომსახურების ვადები

„1. საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით, გამარტივებული წესით ან სპეციალური წესით მინიჭების საკითხის განხილვისა და განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-80 კალენდარულ დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 25 აშშ დოლარი;

ბ) მე-60 კალენდარულ დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 25 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 20 აშშ დოლარი;

გ) მე-40 კალენდარულ დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 25 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 აშშ დოლარი;

დ) მე-20 კალენდარულ დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 25 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 105 აშშ დოლარი.

2. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის საკითხის განხილვისა და განაცხადის შეტანიდან:

ა) 30-ე კალენდარულ დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 45 აშშ დოლარი;

ბ) მე-20 კალენდარულ დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 45 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 45 აშშ დოლარი;

გ) მე-10 კალენდარულ დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 45 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 85 აშშ დოლარი.

3. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების საკითხის განხილვისა და განაცხადის შეტანიდან:

ა) 30-ე კალენდარულ დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 45 აშშ დოლარი;

ბ) მე-20 კალენდარულ დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 45 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 20 აშშ დოლარი.

3^1. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნის დროებითი უფლების საფუძველზე საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-80 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 110 აშშ დოლარი;

ბ) მე-60 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 110 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 45 აშშ დოლარი;

გ) 30 კალენდარული დღის ვადაში მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 110 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 110 აშშ დოლარი.

3^2. საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-80 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 155 აშშ დოლარი;

ბ) მე-60 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 155 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 აშშ დოლარი;

გ) 30 კალენდარული დღის ვადაში მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 155 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 155 აშშ დოლარი.

4. (ამოღებულია - 03.09.2014, №530).

5. (ამოღებულია - 03.09.2014, №530).

6. ემიგრაციის ნებართვის განაცხადის შეტანიდან:

ა) 30-ე კალენდარულ დღეს ნებართვის გაცემისათვის – მომსახურების საფასური 30 აშშ დოლარი;

ბ) მე-20 კალენდარულ დღეს ნებართვის გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 30 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 40 აშშ დოლარი.

7. საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის განაცხადის შეტანიდან:

ა) მე-80 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 155 აშშ დოლარი;

ბ) მე-60 კალენდარულ დღეს მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 155 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 65 აშშ დოლარი;

გ) 30 კალენდარული დღის ვადაში მომზადებისათვის – მომსახურების საფასური – 155 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 155 აშშ დოლარი.

8. განაცხადის მიღებიდან 8 სამუშაო დღის ვადაში დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებისათვის – მომსახურების საფასური – 10 აშშ დოლარი.

9. აპოსტილით დამოწმებას დაქვემდებარებული დოკუმენტის ერთი გვერდის (ან ერთ გვერდამდე) უცხოურ ენაზე თარგმნისათვის – მომსახურების საფასური – 10 აშშ დოლარი.

9^1. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მომზადებისათვის განცხადების შეტანიდან:

ა) მე-80 კალენდარულ დღეს – მომსახურების საფასური – 25 აშშ დოლარი;

ბ) 70 კალენდარული დღის ვადაში – მომსახურების საფასური – 25 აშშ დოლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური – 20 აშშ დოლარი.

9^2. საქართველოს სახელმწიფოსთან პირის სამართლებრივი კავშირის დადგენის შესახებ დასკვნის გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში – მომსახურების საფასური – 25 აშშ დოლარი.

9^3. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიაზე მცხოვრები პირების საქართველოს სახელმწიფოსთან პირის სამართლებრივი კავშირის დადგენის შესახებ დასკვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 25 აშშ დოლარი.

9^4. სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განმეორებით ან სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შესახებ ცნობის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ განაცხადის სააგენტოს უფლებამოსილ ტერიტორიულ სამსახურში წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 10 დოლარი.

10. ამ მუხლით გათვალისწინებული მომსახურების საფასური შესაძლებელია გადახდილ იქნეს საქართველოში, ანალოგიური მომსახურებისათვის ამ დანართის მე-2 მუხლით განსაზღვრული საფასურის შესაბამისად. მომსახურების საფასურის საქართველოში გადახდის დამადასტურებელი ქვითარი წარედგინება სააგენტოს, რომელიც ამას ატყობინებს საზღვარგარეთ საქართველოს შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას. შეტყობინების ვალდებულება არ ვრცელდება ამ მუხლის 9^3 და 9^4 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურების გადახდისას.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის დადგენილება №166 - ვებგვერდი, 10.05.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის დადგენილება №229 - ვებგვერდი, 28.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს დადგენილება №476 - ვებგვერდი, 07.08.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 სექტემბრის დადგენილება №530 - ვებგვერდი, 03.09.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის დადგენილება №13 – ვებგვერდი, 29.01.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 აპრილის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 26.04.2022წ.

მუხლი 5. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადები და საფასურები

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემისათვის – მომსახურების საფასური 30 აშშ დოლარი;

ბ) (ამოღებულია - 07.08.2014, №476);

$ბ^1$) უცხო სახელმწიფოში მყოფ საქართველოს მოქალაქეზე საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის გაცემისთვის – მომსახურების საფასური – 50 აშშ დოლარი;

$ბ^2$) უცხო სახელმწიფოში მყოფ საქართველოს მოქალაქეზე საქართველოს მოქალაქის 32-გვერდიანი პასპორტის 1 წლის ვადით გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 30 აშშ დოლარი;

$ბ^3$) უცხო სახელმწიფოში მყოფ საქართველოს მოქალაქეზე საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის 1 წლის ვადით გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 50 აშშ დოლარი;

გ) უცხო სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეზე წარმომადგენლის მეშვეობით საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 60 აშშ დოლარი;

$გ^1$) უცხო სახელმწიფოში მყოფ საქართველოს მოქალაქეზე წარმომადგენლის მეშვეობით საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 75 აშშ დოლარი;

დ) განქორწინების რეგისტრაციისათვის, შესაბამისი მოწმობის გაცემის ჩათვლით – მომსახურების საფასური – 25 აშშ დოლარი;

ე) მიღებული განცხადების საფუძველზე, სახელის ან/და გვარის შეცვლის/გვარის დადგენის/გვარის კანონიერად აღიარების რეგისტრაციის და აქედან გამომდინარე, შესაბამის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, მათ შორის, მშობლის (მშობლების) მიერ სახელის, გვარის შეცვლის/გვარის დადგენის/გვარის კანონიერად აღიარების შემთხვევაში არასრულწლოვანი შვილის (შვილების) სახელზე შედგენილ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, სავალდებულო ცვლილების შეტანის ჩათვლით (გარდა ქორწინების, განქორწინების, მამობის დადგენის, შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებული შემთხვევებისა), და სახელის შეცვლის და/ან გვარის შეცვლის/დადგენის მოწმობის, ასევე ასეთი შეცვლიდან/დადგენიდან/კანონიერად აღიარებიდან გამომდინარე სხვა სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განაცხადის შეტანიდან მე-60 კალენდარულ დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 25 აშშ დოლარი;

ე[1]) მიღებული განცხადების საფუძველზე ისტორიული გვარის აღდგენის, ასეთი აღდგენიდან გამომდინარე, გვარის შეცვლის რეგისტრაციის, შესაბამის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, მათ შორის, მშობლის (მშობლების) მიერ გვარის შეცვლის შემთხვევაში არასრულწლოვანი შვილის (შვილების) სახელზე შედგენილ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, სავალდებულო ცვლილების შეტანის ჩათვლით (გარდა ქორწინების, განქორწინების, მამობის დადგენის, შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებული შემთხვევებისა) და გვარის შეცვლის მოწმობის, ასევე ასეთი აღდგენიდან გამომდინარე სხვა სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განაცხადის შეტანიდან მე-60 კალენდარულ დღეს გაცემისათვის – მომსახურების საფასური – 130 აშშ დოლარი;“

ვ) სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების, დამატებისა და ცვლილების (გარდა მამობის დადგენისა და შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებული შემთხვევებისა), მათ შორის, მშობლ(ებ)ის სახელზე შედგენილი სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მონაცემის შესწორების, დამატებისა და ცვლილების შეტანის შემთხვევებში არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის სახელზე შედგენილი სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, მშობლ(ებ)ის მონაცემის სავალდებულო შესწორების, დამატებისა და ცვლილების შეტანისა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განმეორებით გაცემის ჩათვლით, შეტანისათვის – მომსახურების საფასური 30 აშშ დოლარი;

ზ) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მოწმობის განმეორებით გაცემის ან სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შესახებ ცნობის გაცემისათვის – მომსახურების საფასური 20 აშშ დოლარი;

თ) ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობის გაცემისათვის – მომსახურების საფასური 20 აშშ დოლარი.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის დადგენილება №31 - ვებგვერდი, 03. 02.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 22 აგვისტოს დადგენილება №341 - ვებგვერდი, 22.08.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს დადგენილება №476 - ვებგვერდი, 07.08.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის დადგენილება №13 – ვებგვერდი, 29.01.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 აპრილის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 26.04.2022წ.

მუხლი 5[1]. დაჩქარებული მომსახურების გაწევის სპეციფიკა

მომსახურების დაჩქარებულ ვადებში განხორციელებაზე უფლებამოსილი სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები და განცხადების მიღების სხვა პირობები განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის დადგენილება №73 – ვებგვერდი, 01.0 4.2013წ.

მუხლი 6. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის წესი

1. საფასურის, გარდა ამ დანართის მე-2 მუხლის 38[4], 49-ე და 50-ე პუნქტებით, ასევე ამ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, გადახდა ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადის შეტანის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს განაცხადის შეტანის დღისა, უნაღდო ანგარიშსწორებით.

1[1]. ამ დანართის მე-2 მუხლის 38[4], 49-ე და 50-ე პუნქტებით დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდა ხდება სააგენტოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს მომსახურების მიწოდების დაწყების დროისა.

2. (ამოღებულია - 22.08.2012, №341).

2[1]. მომსახურების გაწევის შემდეგ (მიუხედავად მომსახურების გაწევის ვადისა) საფასურის გადახდის უფლება აქვთ:

ა) საჯარო დაწესებულებებს;

ბ) იურიდიულ პირებს სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. საფასური ჩაირიცხება სააგენტოს ანგარიშსწორების ანგარიშზე.

4. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასური გადაიხდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით. მომსახურების საფასური ჩაირიცხება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის/საკონსულო დაწესებულების ანგარიშზე, რის შემდეგაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ სააგენტოსათვის თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებული საბანკო მომსახურების ხარჯები დაიფარება მომსახურების საფასურის სახით გადახდილი თანხებიდან.

6. ამ დანართის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის ოდენობა განისაზღვრება აშშ დოლარში. იგი გადაიხდება აშშ დოლარში ან ადგილსამყოფელი ქვეყნის ვალუტაში. ადგილსამყოფელი ქვეყნის ვალუტის აშშ დოლარის მიმართ კონვერტაციის ფიქსირებულ კურსად გამოიყენება

წინა საფინანსო წლის 1 დეკემბრამდე აშშ დოლარის მიმართ ადგილსამყოფელი ქვეყნის ვალუტის საბაზრო მაქსიმალური გაცვლითი კურსი. საქართველოს ეროვნული ბანკი არა უგვიანეს ყოველი საფინანსო წლის 10 დეკემბრისა აწვდის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და სააგენტოს მომავალი წლისათვის გამოსაყენებელ, ადგილსამყოფელი ქვეყნის ვალუტის გაცვლით კურსს.

7. ამ დანართის მე-2 მუხლის 42ე–44ე პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებისათვის გადახდილი საფასურის 50% საქართველოს იუსტიციის მინისტრის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესით ჩაირიცხება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ანგარიშზე.

8. ამ დანართის მე-2 მუხლის 38-ე პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდა ხდება განაცხადის შეტანის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და ავთენტიფიკაციის სერტიფიკატის განმეორებით გაცემიდან 10 კალენდარული დღისა, ხოლო სააგენტოს ვებგვერდიდან ჩამოტვირთული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების საშუალებით ამ დანართის მე-2 მუხლის 38-ე პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოთხოვნისას საფასურის გადახდა ხდება სერტიფიკატის გაცემამდე.

9. ამ დანართის მე-2 მუხლის 46-ე–48-ე პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების პერიოდი განისაზღვრება გადახდილი თანხის ოდენობის შესაბამისად.

10. ამ დანართის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მიღების დროის დაჯავშნისათვის ჯავშნის დადასტურებიდან ერთი საათის განმავლობაში გადაიხდება შესაბამისი ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასურის 50%, ხოლო განაცხადის რეგისტრაციისას – დარჩენილი 50%.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის დადგენილება №188 - ვებგვერდი, 29.05.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 ივნისის დადგენილება №208 - ვებგვერდი, 14.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 22 აგვისტოს დადგენილება №341 - ვებგვერდი, 22.08.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის დადგენილება №344 - ვებგვერდი, 28.06.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის დადგენილება №13 – ვებგვერდი, 29.01.2019წ.

მუხლი 7. გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი

1. გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ:

ა) დაინტერესებული პირი შესაბამისი მომსახურების შესახებ განაცხადის რეგისტრაციამდე უარს განაცხადებს მომსახურების მიღებაზე, გარდა ამ მუხლის 9^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) დაინტერესებული პირის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო;

გ) დაინტერესებულმა პირმა ვერ მიიღო მომსახურება მის მიერ გადახდილი საფასურის შესაბამისად მოთხოვნილ ვადაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც დაინტერესებული პირის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა სააგენტოსგან ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებისგან დამოუკიდებელი მიზეზით და მიღებულია კანონიერი გადაწყვეტილება უარის შესახებ.

3. (ამოღებულია - 22.08.2012, №341).

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც შესაბამის ვადაში მომსახურების გაწევა ვერ განხორციელდა სააგენტოსგან ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებისგან დამოუკიდებელი მიზეზის (მათ შორის, მეტეოროლოგიური პირობების, ფორსმაჟორული გარემოებებისა და სხვ.) გამო.

5. თუ დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა ამ დანართის მე-2 მუხლის პირველი–მე-13, 34-ე პუნქტებით ან მე-5 მუხლის „ა“-„$ბ^3$“, „ზ“ ან „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე, მის სახელზე შედგენილ ან მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში არსებული ხარვეზის ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების არასრულყოფილად წარდგენის გამო, სააგენტო ვალდებულია აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის შემთხვევაში, განახორციელოს მომსახურება უკვე გადახდილი საფასურის საფუძველზე.

6. ამ დანართის მე-2 მუხლის მე-15-23-ე, 24-ე და 27ე პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებების მიღების შესახებ განაცხადების/განცხადებების განუხილველად დატოვების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს გადახდილი მომსახურების საფასური არ დაუბრუნდება.

7. თუ დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა ამ დანართის მე-2 მუხლის 28-ე, 29ე და 30-ე პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე, მას გადახდილი საფასური სრულად დაუბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ლეგალიზაციისათვის ან აპოსტილით დასამოწმებლად წარდგენილი იყო გაყალბების ნიშნების მქონე/ყალბი დოკუმენტი.

7^1. თუ დაინტერესებულმა პირმა მოითხოვა ამ დანართის მე-2 მუხლის 46-ე–48-ე და 50-ე პუნქტებით განსაზღვრული მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტა, მას უბრუნდება მიუღებელი მომსახურების პროპორციული თანხა.

8. თუ მომსახურების გაწევისას სააგენტოს ან საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მიერ დაშვებულ იქნა შეცდომა, კერძოდ, დოკუმენტები შედგენილი ან/და გაცემული იქნა არასწორი მონაცემებით, დაინტერესებულ პირს ხელახლა გაეწევა მომსახურება დამატებითი

საფასურის გადახდის გარეშე. თუ დაინტერესებულ პირს არ სურს მომსახურების ხელახლა მიღება, გადახდილი საფასური მას დაუბრუნდება ამ მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

9. თუ საფასური გადახდილია ამ დადგენილებით განსაზღვრულზე მეტი ოდენობით, დაინტერესებულ პირს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილი თანხის ოდენობასა და ამ დადგენილებით განსაზღვრული საფასურის ოდენობას შორის.

9^1. ამ დანართის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული დაჯავშნისას გადახდილი საფასური მისი გაუქმების შემთხვევაში უკან არ ბრუნდება.

10. ამ მუხლით დადგენილი წესით, საფასური ბრუნდება დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს საფასურის გადახდიდან 3 თვის ვადაში, გარდა ამ დანართის მე-2 მუხლის 46-ე–48-ე და 50-ე პუნქტებით განსაზღვრული მომსახურებისა. ამ დანართის მე-2 მუხლის 46-ე–48-ე და 50-ე პუნქტებით განსაზღვრული მომსახურების შემთხვევაში, მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს მომსახურების შეწყვეტიდან 3 თვის ვადაში. განაცხადის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური არ ბრუნდება, ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 22 აგვისტოს დადგენილება №341 - ვებგვერდი, 22.08.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის დადგენილება № 73 – ვებგვერდი, 01.0 4.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს დადგენილება №476 - ვებგვერდი, 07.08.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 სექტემბრის დადგენილება №530 - ვებგვერდი, 03.09.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის დადგენილება №344 - ვებგვერდი, 28.06.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის დადგენილება №13 – ვებგვერდი, 29.01.2019წ.

მუხლი 8. საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება

1. ამ დანართის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის მიზნით მყოფი პირი, თუ ქორწინების რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს აღნიშნულ დაწესებულებაში.

2. ამ დანართის მე-2 მუხლის მე-9-10^1 პუნქტებით, მე-12 და მე-13 პუნქტებითა და მე-5 მუხლის „დ“-„ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების საფასურის (გარდა დაჩქარებული მომსახურების საფასურისა) გადახდისაგან თავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით გადაადგილებულად – დევნილად ცნობილი პირი.

3. ამ დანართის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და მე5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება პირი, თუ სამოქალაქო აქტის რეგისტრაციისას შეცდომა დაუშვა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ ან/და შესასწორებელი სამოქალაქო აქტი რეგისტრირებულია ადმინისტრაციული ორგანოს ან სამედიცინო დაწესებულების განცხადების (შეტყობინების, მიმართვის) საფუძველზე და შეცდომა გამოწვეულია განმცხადებლის მიერ არასწორი მონაცემების წარდგენით.

3^1. ამ დანართის მე-2 მუხლის 38^1–38^4 და 49-ე პუნქტებით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება პირი, თუ შეუძლებელია მასზე გაცემული სერტიფიკატის გამოყენება, რაც გამოწვეულია შესაბამისი მომსახურების გაწევისას სააგენტოს მიერ დაშვებული შეცდომით.

4. ამ დანართის მე-2 მუხლის 10^1 პუნქტის, მე-12 პუნქტისა და მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასურის (გარდა დაჩქარებული მომსახურების საფასურისა) გადახდისაგან თავისუფლდებიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახის წევრები, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 001-ს.

5. ამ დანართის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტით და მე5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცნობის გაცემისათვის დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება პირი, თუ შესაბამისი ცნობა აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში წარსადგენად, პენსიისა და დახმარების დანიშვნის ან გადაანგარიშებისათვის.

6. ამ დანართის მე-2 მუხლის მე17 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება, თუ დაჩქარებულ ვადებში საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საკითხის განხილვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება ხორციელდება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს წარდგინების საფუძველზე.

6^1. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის მომზადების და მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენისთვის ამ დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება, თუ განცხადების განხილვის საფუძველია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიმართვა იმ პირთან დაკავშირებით, რომელიც იმყოფება ამ ორგანოს მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ.

6^2. საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი თავისუფლდება საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭების საკითხისა და შესაბამისი დასკვნის განაცხადის შეტანიდან მე-80 კალენდარულ დღეს მომზადებისთვის დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდისგან.

7. სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განმეორებით გაცემისათვის მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება, თუ მოწმობის განმეორებით გაცემის საფუძველია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს

მომართვა იმ პირთან დაკავშირებით, რომელიც იმყოფება ამ ორგანოს მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ.

7^1. სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განმეორებით გაცემისათვის ამ დანართით გათვალისწინებული მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება, თუ აღნიშნული მოწმობის განმეორებით გაცემა გამოწვეულია შვილად აყვანის ან მამობის დადგენის საფუძველზე შესაბამის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანით.

8. ამ დანართის მე-2 მუხლის მე-20 პუნქტით და მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება პირი, თუ საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია.

8^1. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში წარდგენილი განცხადების საფუძველზე სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის განმეორებით ან სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შესახებ ცნობის გაცემის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მოწმობის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ დამზადების მოთხოვნისას მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება.

9. ამ დანართის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით და მე5 მუხლის „ბ“–„$ბ^3$“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები;

ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებული საქართველოს მოქალაქეები;

გ) ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანები და იძულებით გადაადგილებული პირები – 50 პროცენტით;

დ) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – 50 პროცენტით;

ე) უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა, თუ მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია;

ვ) 18 წლამდე ასაკის პირები – 50 პროცენტით.

10. ამ დანართის მე-2 მუხლის მე-5 და 38-ე პუნქტებით, აგრეთვე, მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასურების გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 001-ს;

ბ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილე;

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებული პირი;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა, თუ მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია.

10^1. ამ დანართის მე-2 მუხლის მე5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემის საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება არასრულწლოვანი პირი, რომელიც იმყოფება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ, თუ ამ პირზე საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემის შესახებ მოთხოვნა წარდგენილია შესაბამისი მეურვეო ბისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ;

10^2. სტუდენტის სტატუსის შესახებ ინფორმაციის შემცველობით პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის პირველად აღების შემთხვევაში, პირი თავისუფლდება ამ დანართის მე-2 მუხლის:

ა) მე-5 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდისაგან – 10 ლარით;

ბ) 35-ე პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან.

10^3. სტუდენტები, რომლებზეც გაცემულია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა აღნიშვნით „სტუდენტი“ და უკონტაქტო მიკროსქემაზე სტუდენტის სტატუსის შესახებ ინფორმაციის შემცველობით, თავისუფლდებიან:

ა) ამ დანართით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის (გარდა მე-2 მუხლის მე-13 და 35-ე პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურისა) გადახდისაგან 10% -ით;

ბ) ამ დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან 5% -ით.

11. ამ დანართის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება პირი, რომელზედაც სააგენტოს ტერიტორიულმა სამსახურმა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში ობიექტური მიზეზების გამო ვერ გასცა დამზადებული პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა.

11^1. ამ დანართის მე2 მუხლის 42ე–44ე პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტის გაცემისათვის მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება, თუ სააგენტოს ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნისათვის პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს ბრალით ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი გაიცა მცდარი მონაცემების შემცველობით, ხოლო განმცხადებელი ითხოვს გაცემული დოკუმენტის შეცვლას.

12. (ამოღებულია - 03.09.2014, №530).

13. ამ დანართის მე-2 მუხლის 37-ე პუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეზღუდული აქვს გადაადგილების შესაძლებლობა.

14. ამ დანართის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული დაჩქარებული მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

15. ამ დანართის მე5 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან საზღვარგარეთ სასჯელაღსრულების ან თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებაში, სადეპორტაციო დაწესებულებაში ან სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი პირები, რაც დასტურდება ოფიციალური შეტყობინებით.

15[1]. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პირი 2013 წლის 1 ივნისამდე თავისუფლდება ამ დანართის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან 50 ლარით;

16. ამ დადგენილებით განსაზღვრული საფასური არ გადაიხდევინება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით/შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

17. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეს ამ დანართის მე2 მუხლის მე15 და მე20 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურები უმცირდება 25 პროცენტით.

18. სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის, საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობისა და სააგენტოსა და მის ტერიტორიულ სამსახურში ფოტოსურათის გადაღებისათვის ამ დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის და დაჩქარებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან გაათავისუფლოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან მის მიერ ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა მომსახურების/საქმიანობის ცნობადობის გაზრდის ან/და საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის პოპულარიზაციის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში/ჩატარებულ ღონისძიებაში მონაწილე/გამარჯვებული პირი/პირები.

19. ამ დანართის მე2 მუხლის 41ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც უფლებამოსილ ორგანოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით განცხადება წარუდგინა 2012 წლის 10 მაისის ჩათვლით.

19[1]. ამ დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 2[1] პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და 35-ე პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიუსაფარი ბავშვისათვის ან/და „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნისთვის დოკუმენტის გაცემის მოთხოვნით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიმართვის შემთხვევაში.

19[2]. ამ დანართის მე-2 მუხლის 38-ე პუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება არასრულწლოვანი პირი.

20. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება განისაზღვროს ამ დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურების ან/და დაჩქარებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების დამატებითი შემთხვევები.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის დადგენილება №31 - ვებგვერდი, 03.02.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის დადგენილება №166 - ვებგვერდი, 10.05.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის დადგენილება №188 - ვებგვერდი, 29.05.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 ივნისის დადგენილება №208 - ვებგვერდი, 14.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის დადგენილება №229 - ვებგვერდი, 28.06.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 22 აგვისტოს დადგენილება №341 - ვებგვერდი, 22.08.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 20 სექტემბრის დადგენილება №403 - ვებგვერდი, 21.09.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის დადგენილება №73 – ვებგვერდი, 01.04.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს დადგენილება №476 - ვებგვერდი, 07.08.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 სექტემბრის დადგენილება №530 - ვებგვერდი, 03.09.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №399 - ვებგვერდი, 18.08.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის დადგენილება №344 - ვებგვერდი, 28.06.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №633 - ვებგვერდი, 27.12.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის დადგენილება №13 – ვებგვერდი, 29.01.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 აპრილის დადგენილება №217 – ვებგვერდი, 26.04.2022წ.

მუხლი 9. გარდამავალი დებულება

ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება სააგენტოში, მის ტერიტორიულ სამსახურში, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში 2012 წლის 1 იანვრიდან შეტანილ განაცხადებზე.